ხელშეკრულება №76
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(საქონლის შესყიდვა)

ქ. ბაღდათი "-11- "-ნოემბერი - " 2016 წელი.

ერთის მხრივ, ა.(ა).ი.პ. ბაღდათის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულება, საბავშვო ბაგაბაღების გაერთიანება, ქ. ბაღდათი კახიანის ქ. №43 (შემდგომში შემსყიდველი), დირექტორის ნინო გრძელიძის სახით და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე „რომან ლელაძის" სახით (შემდგომში მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის ავზებისა და რეზერვუარების წმენდასთან დაკავშირებული მომსახურებები, გამარტივებული შესყიდვის გზით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის ავზებისა და რეზერვუარების წმენდასთან დაკავშირებული მომსახურებები, CPV(90913000) კოდით.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში 260 ლარი (ორასსამოცი) ლარი და 00 თეთრი.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2016 წლის 30 ნოემბრამდე.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ბაღდათი.

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები).

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7. ანგარისწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება ლარებში.

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით.

7.3. ანგარისწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველსუფლება აქვს: შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 2016 წლის 30 ნოემბრამდე დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედიკ ანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების

ციათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირსაგამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელისმოწერის დღიდან 2016 წლის 30 დეკემბრამდე.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შეუსრულებლობაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ლოჯისტიკის მენეჯერი თემური გუმბერიძე.
14.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არცერთ მხარეს არ ააქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებას თან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

მიმწოდებელი:

<u>ინდ. მ. „რომან ლელაძე"</u>

ქ. ბაღდათი;

ს/ს „ლიბერთი ბანკის" ფილიალი

ა/ა GE11LB0112168433699000

ს.კ. 09001008349

ინდ. მ. ----------/რ. ლელაძე/

შემსყიდველი:

<u>ა(ა)იპ ბაღდათის სკოლამდელი</u>

<u>სააღმზრდელო დაწესებულება</u>

<u>საბავშვო ბაგა-ბაღების გაერთიანება</u>

ქ. ბაღდათი, კახიანის ქ. №43

ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ის ბაღდათის ფილ.

ორგანიზაციული სახაზინო კოდი: 0401

მფო: 220101458

ს.კ. 225066932

დირექტორი: ---------- /ნ. გრძელიძე/